

დამტკიცებულია ცვლილებებით სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ  
(აკადემიური საბჭოს დადგენილება № 05/01- 351, 17.07.2017)

### 1. სამაგისტრო პროგრამის სახელწოდება

ქართული ფილოლოგია (Georgian Philology)

სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს ორ სასპეციალიზაციო მოდულს:

- ქართველური ენათმეცნიერება (Kartvelian Linguistics)
- ქართული ლიტერატურათმცოდნეობა (Georgian Literary Studies)

### 2. მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ფილოლოგიის მაგისტრი (MA in Philology)

### 3. პროგრამის მოცულობა კრედიტებით

120 კრედიტი (ECTS), ხანგრძლივობა - 4 სემესტრი, სემესტრში - 30 კრედიტი;

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამით ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 120 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- 33 ECTS კრედიტი ეთმობა სამაგისტრო პროგრამის საერთო სავალდებულო სასწავლო კურსებს;
- 27 ECTS კრედიტი – ეთმობა ქართველური ენათმეცნიერების / ან ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მოდულის სავალდებულო სასპეციალიზაციო სასწავლო კურსებს;

- 24 ECTS კრედიტი განკუთვნილია სამაგისტრო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსებისთვის.
- 36 ECTS კრედიტი განსაზღვრულია პრაქტიკული და სამეცნიერო კომპონენტისთვის (პროფესიული პრაქტიკა/პროექტის პრეზენტაცია - 6 ECTS კრედიტი; სამაგისტრო ნაშრომის შესრულება/პრეზენტაცია - 30 კრედიტი).

#### 4. სწავლების ენა - ქართული

#### 5. სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელები:

სსუ-ს პროფესორი მარიამ მირესაშვილი

სსუ-ს პროფესორი მერაბ ნაჭყებია

##### მოდულის ხელმძღვანელები:

- ქართველური ენათმეცნიერება - სსუ-ს პროფესორი მერაბ ნაჭყებია
- ქართული ლიტერატურათმცოდნეობა - სსუ-ს პროფესორი მარიამ მირესაშვილი

#### 6. სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- ბაკალავრის აკადემიური ხარისხი ნებისმიერი სპეციალობით;
- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება;
- შიდა საუნივერსიტეტო სასპეციალიზაციო წერითი გამოცდა (სასპეციალიზაციო დისციპლინა - ქართული ენა და ლიტერატურა). (საკითხები იხ. [http://sou.edu.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=371&info\\_id=856](http://sou.edu.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=371&info_id=856));
- უცხო ქვეყნის მოქალაქეები მიიღებიან საერთო სამაგისტრო გამოცდის გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით;

## 7. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი

„ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია სტუდენტებისთვის, რომლებსაც მიღებული აქვთ საბაკალავრო განათლება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა რომელიმე დარგში /რეგიონმცოდნეობაში /განათლების მეცნიერებებში და სურთ გაიღრმავონ პროფესიული ცოდნა ქართულ ფილოლოგიაში, ან შეიცვალონ სპეციალობა და აიმაღლონ შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამის მიზანს წარმოადგენს აღნიშნული პროფილის ფილოლოგების მომზადება ქართველური ენათმეცნიერებისა და ქართული ლიტერატურათმცოდნეობის სფეროებში სამეცნიერო-კვლევითი, პრაქტიკული და პედაგოგიური საქმიანობისთვის; მათი აღჭურვა ღრმა და ფუნდამენტური თეორიული და პრაქტიკული ცოდნით.

სამაგისტრო პროგრამის მიზნები შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რადგან ორიენტირებულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებაზე; საზოგადოების ინტელექტუალური განვითარების ხელშეწყობაზე; ტრადიციისა და ინოვაციის ლოგიკურ შერწყმაზე, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებასა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოს ენებს შორის ქართული წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს სამწიგნობრო ენას, რომელსაც სულ მცირე თექვსმეტსაუკუნოვანი წერილობითი და ლიტერატურული ტრადიცია გააჩნია და შესამაბისად, ქართული სიტყვაკაზმული მწერლობისა და ქართველური ენობრივი ერთეულების ბუნების შესწავლას დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს, სტუდენტებისთვის ამ შინაარსისა და პროფილის სამაგისტრო პროგრამის შეთავაზება სრულიად ლოგიკურია. ამასთან ერთად, ვითვალისწინებთ, რომ ქართული სამწიგნობრო ენა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ენაა; საქართველოს სახელმწიფოებრივი ღირსების საკითხია ერთი მხრივ, ქართული ენის ღრმა და საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლა და მეორე მხრივ, ქართული ლიტერატურის ისტორიის ძირითადი პრობლემატიკის საფუძვლიანი შესწავლა, მისი ნიშანდობლივი თვისებებისა და ჟანრული თავისებურებების განხილვა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში.

„ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამა მოიცავს ორ სასპეციალიზაციო მოდულს: 1. ქართველური ენათმეცნიერება და 2. ქართული ლიტერატურათმცოდნეობა. აღნიშნულის გათვალისწინებით პროგრამაში გამოყოფილია სასწავლო კურსების სამი ბლოკი:

- **ორივე მოდულისათვის საერთო სავალდებულო სასწავლო კურსები**, რომლებიც მიმართულია სწავლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატში) მიღებული ცოდნის განვრცობაზე და მაგისტრატურის სტუდენტების მომზადებაზე/ორიენტირებაზე შედარებით რთული და სპეციფიკური სასწავლო კურსების დასამღვეად;
- **ცალკეული სასპეციალიზაციო მოდულებისთვის სავალდებულო სასწავლო კურსები**, რომლებიც მიმართულია თანამედროვე ტიპის მეცნიერ-ფილოლოგისთვის სავალდებულო ღრმა და საფუძვლიანი პროფესიული ცოდნის მიცემაზე; დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციების შესაძენად;
- **არჩევითი სასწავლო კურსები**, რომლებიც მიემართება ორივე მოდულს და ორიენტირებულია კონკრეტული პრობლემატიკის ფარგლებში კვალიფიციური ცოდნის მიღებასა და დარგობრივი ცოდნის შემდგომ გაღრმავებაზე. აღნიშნული ბლოკის ფარგლებში მაგისტრანტს შეუძლია საკუთარი ფილოლოგიური კომპეტენციების გაღრმავება პარალელური მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების შესწავლის საფუძველზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის საერთო მიზნებია:

- მაგისტრანტს შესძინოს დარგობრივი და მეცნიერული კომპეტენციები ქართული ფილოლოგიის ფარგლებში და შექმნას მეთოდოლოგიური საფუძველი უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე (დოქტორანტურაში) სწავლის გასაგრძელებლად;
- მაგისტრანტს შესძინოს მეცნიერული თეორიების ანალიზის, კრიტიკული შეფასებისა და პოლემიკის ფორმატში დასაბუთებული დასკვნების გამოტანის, დამოუკიდებლად მეცნიერული მუშაობისა და კვლევის, ემპირიული მასალისა და კრიტიკული ლიტერატურის მოძიების, კლასიფიკაციისა და ანალიზის უნარ-ჩვევები;
- საფუძვლიანად გაარკვიოს მაგისტრანტები კვლევის განსხვავებული მეთოდოლოგიური სისტემების სტრუქტურაში და გამოუმუშაოს ანალიზის განსხვავებული ხერხებით ოპერირების პროფესიული უნარი;
- ხელი შეუწყოს სასწავლო და კვლევითი პროცესების ინტეგრირებას; ზოგადი და ტრანსფერული უნარების განვითარებას სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით, რაც განაპირობებს საზოგადოებაში მაგისტრის ინტეგრაციასა და მის წარმატებულ დასაქმებას.

ამასთან ერთად, *„ქართველური ენათმეცნიერების“* სასპეციალიზაციო მოდულის მიზანია, მაგისტრანტს საფუძვლიანად შეასწავლოს:

- ქართველური ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი, ლექსიკა და ქართველთა ენობრივი ხედვა-აღქმის ზოგადი სისტემა (ქართველთა ენობრივი აზროვნება);
- საერთოქართველურ და არქაულ სამწიგნობრო ენობრივ სისტემასთან ქართველური ტერიტორიული ენობრივი ერთეულების (მეგრულის, ჭანურის, სვანურის..) მიმართება;
- სხვადასხვა ავტორის ხედვის გათვალისწინებით ქართველური ფონემატური სტრუქტურა, სახელური და ზმნური პარადიგმები, ქართველური სინტაგმა, ისტორიული ლექსიკა და ფრაზეოლოგია;
- რომელიმე ქართველური ენობრივი ერთეული (მეგრული, ჭანური, სვანური...);
- ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა და ნორმალიზაციის თეორიული კურსი ისტორიითურთ;
- თანამედროვე აკადემიური მეცნიერული შეხედულებები ქართველური ენობრივი სამყაროს შესახებ; ქართველურ ენა-კილოთა გავრცელების არეალში არსებული რთული სოციოლინგვისტური და ლინგვოკულტურული პროცესები და არეალური კონტაქტები; ქართული ენის პრაგმატიკა.

*„ქართული ლიტერატურათმცოდნეობის“* სასპეციალიზაციო მოდულის მიზანია:

- საფუძვლიანად გაარკვიოს მაგისტრანტი ქართული ლიტერატურის ისტორიის სამივე პერიოდის (ძველი, ახალი, უახლესი) ძირითად პრობლემატიკაში; გააცნობიერებინოს მათი ნიშანდობლივი თვისებები და ჟანრული თავისებურებები მსოფლიო ლიტერატურის ევოლუციის კონტექსტში;
- გამოუმუშაოს მაგისტრანტებს ლიტერატურული ტექსტის პროფესიული კითხვისა და თეორიული კვლევის უნარი;
- საფუძვლიანად შეასწავლოს თეორიული და ისტორიული პოეტიკის ძირითადი პრობლემები: მხატვრული ლიტერატურის ძირითადი კატეგორიების წარმოშობისა და განვითარების ევოლუცია, მხატვრულ-სახეობრივი გამომსახველობითი ფორმები, ლიტერატურული მიმდინარეობები და სხვ.;

- გააცნოს მაგისტრანტებს საკვანძო საკითხები ლიტერატურულ-თეორიული აზროვნების განვითარების ძირითად ეტაპებთან დაკავშირებით; გაარკვიოს ისინი კონკრეტულ ინტელექტუალურ ფორმირებებში; ძირითად ცნებებსა და კრიტიკულ საკითხებში;
- მიმართოს მაგისტრანტების ინტერესს ინტერკულტურული კვლევებისადმი;
- განუვითაროს მაგისტრანტებს ანალიტიკური აზროვნებისა და პროფესიული წერის შესაძლებლობები და მოამზადოს მაგისტრები ქართული ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურული კრიტიკისა და ლიტერატურის თეორიის სფეროებში სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული საქმიანობისთვის.

## 8. სწავლის შედეგები

სამაგისტრო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს, მიიღოს ღრმა და საფუძვლიანი თეორიული ცოდნა ქართული ფილოლოგიის ერთ-ერთ მოდულში განსხვავებული მეთოდოლოგიური მიდგომებითა და შერჩეულ მოდულთან დაკავშირებული ფილოლოგიური უნარ-ჩვევების გათვალისწინებით. მაგისტრს გამოუმუშავდა შემდეგი დარგობრივი კომპეტენციები:

### *„ქართველური ენათმეცნიერების“ სასპეციალიზაციო მოდულის ფარგლებში*

- **ცოდნა და გაცნობიერება** - კურსდამთავრებულს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ენათმეცნიერების მიმართულებით, კერძოდ: ქართული სამწიგნობრო ენისა და ქართველური ენა-კილოების ფონეტიკა-ფონოლოგიაში, მორფოლოგიაში, სინტაქსსა და ლექსიკაში; იცნობს თანამედროვე აკადემიურ მეცნიერულ შეხედულებებს ქართველური ენობრივი სამყაროს შესახებ; აცნობიერებს ქართველურ ენა-კილოთა გავრცელების არეალში არსებულ რთულ სოციოლინგვისტურ და ლინგვოკულტურულ პროცესებს და არეალურ კონტაქტებს; ქართული ენის პრაგმატიკის პრობლემებს; აცნობიერებს ქართული სალიტერატურო ენის ნორმებისა და ნორმალიზაციის პრობლემებს.
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - მაგისტრს შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; კომპლექსური ლინგვისტური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიება, მათ შორის, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება უახლესი ტექნოლოგიების, ლინგვისტური კვლევის მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით; შეუძლია შეიმუშაოს ახლებური კვლევითი და ანალიტიკური მეთოდები და მიდგომები, დაუფლებულია ქართველური ენათმეცნიერებისთვის აუცილებელ სისტემურ უნარებს, რაც საშუალებას მისცემს მას, იოლად შეძლოს ადაპტირება ახალ სიტუაციებში, თანამედროვე მეთოდოლოგიით იკვლიოს (იმუშაოს) ინდივიდუალურად და, საჭიროების შემთხვევაში, ჯგუფთან ერთად; მაგისტრს შეუძლია ლინგვისტური თვალსაზრისით გააანალიზოს ძველი და ახალი ქართული სალიტერატურო ენის, ქართველურ ენა-კილოთა ტექსტები, მოამზადოს ისინი გამოსაცემად, აღწეროს ენობრივი სიტუაცია ქართველურ ენა-კილოთა გავრცელების მთელ არეალში; შეუძლია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შეადგინოს თანამედროვე სამეცნიერო ბიბლიოგრაფია, აწარმოოს ტექსტოლოგიური სინქრონიული და დიაქრონიული კვლევა; დაწეროს ლინგვისტური გამოკვლევა ქართველური ენათმეცნიერების აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.

**„ქართული ლიტერატურათმცოდნეობის“ სასპეციალიზაციო მოდულის ფარგლებში:**

- **ცოდნა და გაცნობიერება** - კურსდამთავრებულს აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ქართული ლიტერატურათმცოდნეობის მიმართულებით, მაგისტრს გააჩნია ქართული ლიტერატურის ისტორიისა და ლიტერატურის თეორიის ქვედარგების ღრმა და სისტემური ცოდნა; მიღებული ცოდნის, კვალიფიკაციისა და კომპეტენციის გამოყენებით შეუძლია სპეციალური სამეცნიერო ლიტერატურის კითხვა და გააზრება; ქართული ლიტერატურის აქტუალური საკითხების ღრმა და სისტემური კვლევა სინქრონულ და დიაქრონულ ასპექტში, როგორც წინა პერიოდის ნაწარმოებებთან მიმართებით, ასევე ინტერკულტურულ კონტექსტში; ლიტერატურულ ფენომენტთა შეფასება და ანალიზი, რაც გულისხმობს მათ გააზრებას როგორც საკვლევი ეპოქის ესთეტიკურ ღირებულებათა კონტექსტში, ასევე მათ დაკავშირებას მიმდინარე სალიტერატურო პროცესებთან. მაგისტრს აქვს ლიტერატურათმცოდნეობითი სამეცნიერო-ტერმინოლოგიური აპარატით ოპერირების უნარი; იცნობს უახლეს მეცნიერულ გამოკვლევებს; შეუძლია ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავება და მათი გადაჭრის გზების მოძიება.
- **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** - მაგისტრს შეუძლია ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება; დარგისთვის სპეციფიკური მეთოდების გამოყენებით ლიტერატურათმცოდნეობის კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება, ანალიზი და მათ გადასაჭრელად ახალი, ორიგინალური გზების მოძიება და დამოუკიდებლად გადაჭრა; შეუძლია სპეციალიზებულ კონტექსტში გარკვევა, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება და უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით კვლევების დამოუკიდებლად განხორციელება; კერძოდ, ცალკეული ნაწარმოებების მხატვრული ანალიზი, მისი ნიშანდობლივი თვისებებისა და ჟანრული თავისებურებების დადგენა მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტში; მხატვრული ნაწარმოების სტრუქტურული შემადგენლობის, მხატვრულ-სახეობრივი გამომსახველობითი ფორმების დადგენა და გაანალიზება სინქრონულ და დიაქრონულ სიბრტყეში; შეუძლის კვლევის განსხვავებული მეთოდოლოგიური სისტემების გამოყენება და მხატვრული ტექსტის ანალიზის განსხვავებული ხერხებით ოპერირება; შეუძლია ლიტერატურათმცოდნეობითი გამოკვლევის დაწერა ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.

**„ქართული ფილოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მაგისტრს გამოუმუშავდა შემდეგი ზოგადი კომპეტენციები:**

- **დასკვნის უნარი** - მაგისტრს შეუძლია ფილოლოგიური ხასიათის სამეცნიერო მასალის გაანალიზება და ინტერპრეტირება; ფილოლოგიური ხასიათის რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და მასზე დაყრდნობით არგუმენტირებული მოსაზრებების, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება; შეუძლია მოპოვებულ მასალასა და მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი.
- **კომუნიკაციის უნარი** - მაგისტრს შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიური საშუალებების დახმარებით სამეცნიერო კვლევისთვის შესაბამისი ინფორმაციული წყაროებისა და სამეცნიერო მასალების დამოუკიდებლად მოძიება; წერილობითი და ზეპირი პრეზენტაცია; თანმიმდევრულ და ლოგიკურ არგუმენტებზე დაყრდნობით კორექტულად კამათი აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე; აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვა; სხვა მკვლევართა მოსაზრებების გათვალისწინება, ალტერნატიული სამეცნიერო ინფორმაციის მოსმენა და აღქმა.

- **სწავლის უნარი** – მაგისტრს შეუძლია საკუთარ შესაძლებლობათა გათვალისწინებით სწავლის გაგრძელების საჭიროების განსაზღვრა; ცოდნის გაღრმავება სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის მიღებით, კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვა და დაგეგმილ დროში განხორციელება; აკადემიური პროექტის შემუშავება და მართვა; ახალ სიტუაციაში ადაპტირება, ავტონომიურად და ჯგუფურად მუშაობა; არის დამოუკიდებელი და თვითკრიტიკული სწავლისა და მუშაობის პროცესში; იჩენს ინიციატივასა და პირად პასუხისმგებლობას პროფესიულ პრაქტიკაში.
- **ღირებულებები** - მაგისტრი პატივს სცემს თავის და სხვის დამოკიდებულებას ღირებულებებისადმი; აცნობიერებს სამეცნიერო საქმიანობის ეთიკურ მხარეს და ღირებულებათა შკალას, რომელსაც უნდა ამკვიდრებდეს მეცნიერი საზოგადოებაში; წვლილი შეაქვს ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში. შესაბამისად, სტუდენტს განვითარებული აქვს:
  - დისკუსიებსა და დებატებში განსხვავებული აზრის მოსმენისა და პატივისცემის უნარი;
  - განსხვავებული კულტურების პატივისცემა;
  - ეთიკურად მოტივირებული დასკვნების გაკეთებისა და რეალიზაციის უნარი;
  - შეურიგებლობა პლაგიატიზმთან მიმართებაში.

## 9. სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

#	სასწავლო კურსი/მოდული	კოდი	ECTS	საათების რაოდენობა		კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით				წინაპირობა	ლექტორი
				საკონტაქტო	დამოუკიდებელი	I	II	III	IV		
<b>პროგრამის საერთო სავალდებულო სასწავლო კურსები - 33 კრედიტი</b>											
1	უცხო ენა I (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული)	ENGL M201 FREN M201 GERM 201 RUS M201	3	35	40	3				წინაპირობის გარეშე	
2	უცხო ენა II (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული)	ENGL M202 FREN M202 GERM M202 RUS M202	3	35	40		3			უცხო ენა I (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული)	
3.	აკადემიური წერა	ACAD M 201	3	35	40	3				წინაპირობის გარეშე	<b>ნონა ქეცბაია</b> სსუ ასისტენტ-პროფესორი
4.	ფილოლოგიური კვლევის მეთოდები	PHIL M 201	6	50	100	6				წინაპირობის გარეშე	<b>მაკა კაჭარავა</b> სსუ ასოცირებული პროფესორი
5.	ქართული წერილობითი კულტურა (ტიპოლოგიური პარალელები)	PHIL M 202	6	50	100	6				წინაპირობის გარეშე	<b>ნესტან ჩხიკვაძე</b> ფილოლოგიის დოქტორი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის სასწ. დეპ. უფროსი
6.	ლიტერატურულ-თეორიული აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები	PHIL M 203	6	50	100	6				წინაპირობის გარეშე	<b>მარიამ მირესაშვილი</b> სსუ პროფესორი
7.	ლინგვოკულტუროლოგია	PHIL M 204	6	50	100	6				წინაპირობის გარეშე	<b>მანანა ტაბიძე</b> ფილ. მეცნ. დოქტორი, მოწვეული პროფესორი



<b>„ქართული ლიტერატურათმცოდნეობის“ მოდულის სავალდებულო სასპეციალიზაციო სასწავლო კურსები-27 კრედიტი</b>											
1.	ლიტერატურული გვარები და ჟანრები: განვითარების ეტაპები და მოდიფიკაციები	PHIL M 205	6	50	100		6			წინაპირობის გარეშე	მარიამ მირესაშვილი სსუ პროფესორი
2.	ქრისტიანული სახისმეტყველება	PHIL M 206	3	35	40		3			წინაპირობის გარეშე	ტიტე მოსია სსუ ასოცირებული პროფესორი
3.	ევროპეიზმის პრობლემა მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში (რომანტიზმი, რეალიზმი)	PHIL M 207	6	50	100		6			წინაპირობის გარეშე	ნინო ვახანია სსუ ასოცირებული პროფესორი
4.	XX საუკუნის ქართული პოეზიის ძირითადი ტენდენციები	PHIL M208	6	50	100		6			წინაპირობის გარეშე	ლუარა სორდია სსუ პროფესორი
5.	მითი და მითოსური არქეტიპები XX საუკუნის ლიტერატურაში (ტიპოლოგიური პარალელები)	PHIL M 209	6	50	100		6			წინაპირობის გარეშე	ნანა კუცია სსუ ასოცირებული პროფესორი
<b>„ქართველური ენათმეცნიერების“ მოდულის სავალდებულო სასპეციალიზაციო სასწავლო კურსები-27 კრედიტი</b>											
1.	ქართველური ენა-კილოების ფონეტიკა	PHIL M 210	6	50	100		6			წინაპირობის გარეშე	ტარიელ ფუტყარაძე ფილ. მეცნ. დოქტორი, მოწვეული პროფესორი
2.	ქართველური სახელის ბრუნების პარადიგმა	PHIL M 211	6	50	100		6			წინაპირობის გარეშე	მერაბ ნაჭყებია სსუ პროფესორი
3.	ზანური ჯგუფის კილოები (პრაქტიკული კურსი)	PHIL M 212	6	50	100		6			წინაპირობის გარეშე	მერაბ ნაჭყებია სსუ პროფესორი
4.	იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება	PHIL M 213	3	35	40		3			წინაპირობის გარეშე	თეიმურაზ გვანცელაძე ფილ. მეცნ. დოქტორი, სსუ სრული პროფესორი
5.	სოციოლინგვისტიკის ზოგადი პრობლემები	PHIL M 214	6	50	100		6			წინაპირობის გარეშე	მანანა ტაბიძე ფილ. მეცნ. დოქტორი, მოწვეული პროფესორი
<b>პრაქტიკული და სამეცნიერო კომპონენტი-36 კრედიტი</b>											
1.	პროფესიული პრაქტიკა/პროექტის პრეზენტაცია	PHIL M 215	6	115	35			6			I და II სემესტრის სასწავლო კურსები
2.	სამაგისტრო ნაშრომი	PHIL M 216	6	65	685				30		I, II, III სემესტრების სასწავლო კურსები
<b>პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები - 24 კრედიტი</b> (მაგისტრანტმა უნდა არჩიოს შესაბამისი კრედიტები ქვემოთ მოყვანილი ჩამონათვალიდან)									24		
1.	ბიბლია და ქართული მწერლობა	PHIL M 217	6	50	100					წინაპირობის გარეშე	მირანდა თოდუა სსუ ასოცირებული პროფესორი

2.	შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა	PHIL M 218	6	50	100					წინაპირობის გარეშე	ნანა გაფრინდაშვილი ფილოლ. მეცნ. დოქტორი, მოწვეული პროფესორი
3.	გალაკტიონის პოეტიკა	PHIL M 219	6	50	100					წინაპირობის გარეშე	ლუარა სორდია სსუ პროფესორი
4.	კონსტანტინე გამსახურდიას რომანების პოეტიკა	PHIL M 220	6	50	100					წინაპირობის გარეშე	ნინო მინდიაშვილი სსუ ასისტენტ პროფესორი
5.	ნარატიული დისკურსი თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში	PHIL M 221	6	50	100					წინაპირობის გარეშე	ნანა კუცია სსუ ასოცირებული პროფესორი
6.	ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობები	PHIL M 222	6	50	100					წინაპირობის გარეშე	ნანა არახამია სსუ ასისტენტ პროფესორი
7.	ქართველური ზმნის პარადიგმა	PHIL M 223	6	50	100					წინაპირობის გარეშე	მერაბ ნაჭყებია სსუ პროფესორი
8.	სვანური ჯგუფის კილოები (პრაქტიკული კურსი)	PHIL M 224	6	50	100					წინაპირობის გარეშე	ქეთევან მარგიანი სსუ ასოცირებული პროფესორი
9.	ქართველური სინტაგმა	PHIL M 225	3	35	40					წინაპირობის გარეშე	მარინა კაკაჩია სსუ ასოცირებული პროფესორი
10.	ტექსტის ლინგვისტიკა	PHIL M 226	3	35	40					წინაპირობის გარეშე	ლევან ფაჩულია სსუ ასოცირებული პროფესორი
11.	ქართული სამწიგნობრო ენის ნორმები და სტილისტიკის საკითხები	PHIL M 227	3	35	40					წინაპირობის გარეშე	თამილა ზვიადაძე სსუ ასოცირებული პროფესორი
12.	ეთნოლინგვისტიკა	PHIL M 228	6	50	100					წინაპირობის გარეშე	მერაბ ნაჭყებია სსუ პროფესორი
<b>ს უ ლ - 120 კრედიტი</b>						<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>		